

შპს „დავუდი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ახსნა - განმარტებითი შენიშვნები.....	6
ზოგადი ინფორმაცია	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
ტერმინების განმარტებები:	6
სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები	6
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	7
ფინანსური აქტივების გაუფასურება	7
ფინანსური ვალდებულებები	7
ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა.....	7
ძირითადი საშუალებები	8
მარაგები	9
დაბეგვრა	9
შემოსავალი.....	9
ხარჯების აღიარება.....	9
სახელფასო განაცემები	10
შეფასებისა და წარდგენის ვალუტა	10
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	10
შენიშვნა - 4 ძირითადი საშუალებები	11
შენიშვნა - 6 ფული და ფულის ეკვივალენტები	11
შენიშვნა - 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
შენიშვნა - 8 მარაგები.....	12
შენიშვნა - 9 სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები	12
შენიშვნა - 10 ამონაგები.....	12
შენიშვნა - 11 თვითღირებულება.....	12
შენიშვნა - 12 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13
შენიშვნა - 14 ფინანსური ხარჯი	13
შენიშვნა - 15 მოგების გადასახადის ხარჯი	13
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	13

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

შპს დავუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091

მოგება-ზარალის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	10	4,474,827	4,401,604
თვითღირებულება	11	(3,206,260)	(3,381,034)
საერთო მოგება		1,268,567	1,020,570
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(147,063)	(109,124)
სხვა ხარჯები	13	(6,714)	(7,947)
საოპერაციო მოგება		1,114,790	903,557
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(131)	(29,362)
მოგება დაბეგვრამდე		1,114,659	874,195
მოგების გადასახადი	14	(87,654)	(90,091)
წმინდა მოგება		1,027,005	784,104
მთლიანი სრული შემოსავალი		1,027,005	784,104

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს დავუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	507,805	404,913
არამატერიალური აქტივები		-	-
საინვესტიციო ქონება		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		507,805	404,913
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	613,138	161,091
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	648,691	623,997
მარაგები	8	1,699,076	1,706,890
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,960,905	2,491,978
სულ აქტივები		3,468,711	2,896,890
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,420	6,420
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,385,095	2,852,827
სულ კაპიტალი		3,386,515	2,859,247
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	66,866	37,643
საგადასახადო ვალდებულებები		15,330	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		82,196	37,643
მთლიანი ვალდებულებები		82,196	37,643
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,468,711	2,896,890

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

შპს დავუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091


კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	6,420	-	2,552,929	2,559,349
წმინდა მოგება			784,104	784,104
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			784,104	784,104
გაცემული დივიდენდი			(484,211)	(484,211)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
2022 წლის 31 დეკემბერი	6,420	-	2,852,822	2,859,242
წმინდა მოგება			1,027,005	1,027,005
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,027,005	1,027,005
გაცემული დივიდენდი			(494,737)	(494,737)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(5,000)			(5,000)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,420	-	3,385,090	3,386,510

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „დაფუდი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2002 წლის 23 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია მარნეულის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 234179091.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ელექტრო ნათურებით. შპს „დაფუდი“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 100 – მდე დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: სხვა და სხვა სიმძლავრის და სახეობის ელექტრო ნათურები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად ჩინეთიდან ყირგიზეთიდან და გაერთიანებული ემირატებიდან.

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია ერთი საწყობი მარნეულში, რუსთაველის ქ. №8, ჩიხი №1 .

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, მარნეული, რუსთაველის ქ. №8, ჩიხი №1 . 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ბახადინ აჯალოვი. კომპანიის დირექტორია ბახადინ აჯალოვი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 10 ადამიანი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განტეხული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

შპს დავუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091

ვალდებულების აღიარება და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12 წელი
სათვალთვალო კამერები	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება


კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.


თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს დავუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგება ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	აშშ დოლარი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

შპს დავუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091

შენიშვნა - 4 ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სათვალთვალო კამერები	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ლარში					
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	11,078	1,398	190,000	228,512	430,987
შესყიდვა	5,458	2,058	116,012	-	123,527
გასვლა	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	16,535	3,456	306,012	228,512	554,515
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის	8,833	829	-	37,047	46,709
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	7,807	721	-	17,546	26,075
ცვეთის ხარჯი	1,026	108	-	19,501	20,635
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	8,833	829	-	37,047	46,709
საბალანსო ღირებულება					
2022 წლის ბოლოს	3,271	677	190,000	210,965	404,913
2023 წლის ბოლოს	7,702	2,627	306,012	191,464	507,805

შენიშვნა - 6 ფული და ფულის ექვივალენტები

ლარში	12/31/2023	12/31/2022
ფული სალაროში	1,061	4,774
ფული საბანკო ანგარიშებზე	612,077	156,317
	613,138	161,091

შენიშვნა - 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარში	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	382,925	376,184
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-
სხვა მოთხოვნები	265,766	247,813
	648,691	623,997

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

შპს დავუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091

შენიშვნა - 8 მარაგები

ლარში	12/31/2023	12/31/2022
საქონელი	1,698,198	1,706,206
სხვა მარაგები	878	684
	1,699,076	1,706,890

შენიშვნა - 9 სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ვალდებულებები	63,866	37,643
ვალდებულება თანამშრომლის წინაშე	3,000	-
	66,866	37,643

შენიშვნა - 10 ამონაგები

ლარი	12/31/2023	12/31/2022
მზა პროდუქციის რეალიზაცია	4,474,827	4,401,604
	4,474,827	4,401,604


შენიშვნა - 11 თვითღირებულება

ლარი	12/31/2023	12/31/2022
მზა პროდუქციის თვითღირებულება	3,206,260	3,381,034
	3,206,260	3,381,034

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს დაგუდი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 234179091

შენიშვნა - 12 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	12/31/2023	12/31/2022
შრომის ანაზღაურება	87,531	67,855
სატრანსპორტო მომსახურება	-	-
მიმდინარე რემონტის ხარჯები (საერთო ადმინისტრაციული)	4,640	666
საბანკო მომსახურების, საკომისიოს და ინკასაციის ხარჯები	6,381	6,321
საიჯარო ქირის ხარჯი	6,000	6,000
კომუნალური ხარჯები	2,668	1,838
დაზღვევის ხარჯები	1,362	-
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	12,049	1,755
ცვეთა და ამორტიზაცია	20,635	16,394
კომუნიკაციის ხარჯები	1,248	458
მომსახურების ხარჯები	2,998	3,657
საერთო დანიშნულების საწვავის ხარჯი	1,553	4,181
	147,063	109,124

შენიშვნა - 13 სხვა ხარჯები

ლარი	12/31/2023	12/31/2022
სხვა ხარჯი	6,714	7,947
მოგების გადასახადის ხარჯი - კანონმდებლობის თანახმად	-	-
	6,714	7,947

შენიშვნა - 14 ფინანსური ხარჯი

ლარი	12/31/2023	12/31/2022
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	39,327.00	73,671
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	(39,458.00)	(44,308)
	(131)	29,362

შენიშვნა - 15 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	12/31/2023	12/31/2022
მიმდინარე მოგების ხარჯი	87,654	90,091
	87,654	90,091

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ;

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____